

შპს ნატურალი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

შინაარსი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება	
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
1. კომპანია და მისი საქმიანობა	7
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)	8
3. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები, და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	16
4. ძირითადი საშუალებები	17
5. არამატერიალური აქტივები	18
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	18
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
9. გრძელვადიანი სესხები	19
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
12. ამონაგები	19
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20
14. ადმინისტრაციული ხარჯები	20
15. კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება/ (ზარალი)	20
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	20
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)	21
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21

	მენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	6,035,294	2,442,949
არამატერიალური აქტივები	5	5,098	3,837
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,040,392	2,446,786
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1,478,901	718,500
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,477,080	1,180,254
საგადასახადო აქტივი	11	-	47,189
ფული და ფულის ექვივალენტები	8	188,028	206,236
სულ მიმდინარე აქტივები		3,144,009	2,152,180
სულ აქტივები		9,184,401	4,598,966
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		462,000	-
გაუნაწილებელი მოგება		2,467,300	1,702,455
სულ კაპიტალი		2,929,300	1,702,455
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	4,132,329	2,362,323
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,132,329	2,362,323
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		1,297,965	255,023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	647,269	279,165
საგადასახადო ვალდებულებები	11	177,537	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,122,771	534,188
სულ ვალდებულებები		6,255,101	2,896,511
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,184,401	4,598,966

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 23 სექტემბერს

ქეთევან ნებიერიძე

დირექტორი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 23 სექტემბერს

ქეთევან ნუშიერიძე
დირექტორი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	12	12,844,886	9,453,371
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(10,214,910)	(7,643,703)
საერთო მოგება		2,629,976	1,809,668
საოპერაციო ხარჯები			
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,878,651)	(1,124,528)
საოპერაციო მოგება		751,325	685,140
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება /ზარალი	15	773,624	247,264
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა		(116,639)	(57,876)
საპროცენტო ხარჯი		(330,610)	(89,005)
მოგება დაბეგვრამდე		1,077,700	785,523
მოგების გადასახადის ხარჯი		(46,928)	(56,433)
წლის მოგება		1,030,772	729,090
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,030,772	729,090

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 23 სექტემბერს

ქეთევან ნებიერიძე
დირექტორი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ნატურალი“

ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	12	12,844,886	9,453,371
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(10,214,910)	(7,643,703)
საერთო მოგება		2,629,976	1,809,668
საოპერაციო ხარჯები			
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,878,651)	(1,124,528)
საოპერაციო მოგება		751,325	685,140
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება /ზარალი	15	773,624	247,264
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა		(116,639)	(57,876)
საპროცენტო ხარჯი		(330,610)	(89,005)
მოგება დაბეგვრამდე		1,077,700	785,523
მოგების გადასახადის ხარჯი		(46,928)	(56,433)
წლის მოგება		1,030,772	729,090
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული შემოსავალი		1,030,772	729,090

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 23 სექტემბერს




 ქეთევან ნუბერიძე
 დირექტორი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	-	1,293,154	1,293,154
სხვა სრული შემოსავალი		729,090	729,090
გადახდილი დივიდენდი		(319,789)	(319,789)
საწესდებო კაპიტალის ზრდა			
საწესდებო კაპიტალის შემცირება			
2021 წლის 31 დეკემბერი	-	1,702,455	1,702,455
სხვა სრული შემოსავალი		1,030,772	1,492,772
გადახდილი დივიდენდი		(265,926)	(265,926)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	462,000		
საწესდებო კაპიტალის შემცირება			
2022 წლის 31 დეკემბერი	462,000	2,467,300	2,929,300

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 23 სექტემბერს

ქეთევან ნებიერიძე

დირექტორი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ნატურალი“

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	-	1,293,154	1,293,154
სხვა სრული შემოსავალი		729,090	729,090
გადახდილი დივიდენდი		(319,789)	(319,789)
საწესდებო კაპიტალის ზრდა			
საწესდებო კაპიტალის შემცირება			
2021 წლის 31 დეკემბერი	-	1,702,455	1,702,455
სხვა სრული შემოსავალი		1,030,772	1,492,772
გადახდილი დივიდენდი		(265,926)	(265,926)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	462,000		
საწესდებო კაპიტალის შემცირება			
2022 წლის 31 დეკემბერი	462,000	2,467,300	2,929,300

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 23 სექტემბერს



ქეთევან ნებიერიძე

ქეთევან ნებიერიძე
დირექტორი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	2022	2021
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მომხმარებლისგან	13,728,577	9,592,655
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(12,732,278)	(9,092,401)
დასაქმებულებზე გადახდილი თანხები	(719,486)	(431,640)
გადახდილი პროცენტები	(312,103)	(90,568)
გადახდილი გადასახადები	(67,723)	(357,057)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(103,012)	(379,011)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(3,601,368)	(261,782)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,601,368)	(261,782)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
სხვა სასესხო ვალდებულებების შემცირება	(1,417,659)	(630,070)
ფულადი სახსრების შემოსვლა მოკლევადიანი სესხებიდან	4,754,664	1,406,966
კაპიტალის ზრდა	462,000	-
გადახდილი დივიდენდები	(252,630)	(303,800)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	3,546,375	473,096
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	(158,005)	(167,697)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	139,797	(2,116)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	206,236	376,049
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	188,028	206,236

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 23 სექტემბერს

ქეთევან ნებიერიძე
 დირექტორი


შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ნატურალი“

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2022	2021
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მომხმარებლისგან	13,728,577	9,592,655
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(12,732,278)	(9,092,401)
დასაქმებულებზე გადახდილი თანხები	(719,486)	(431,640)
გადახდილი პროცენტები	(312,103)	(90,568)
გადახდილი გადასახადები	(67,723)	(357,057)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(103,012)	(379,011)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(3,601,368)	(261,782)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,601,368)	(261,782)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
სხვა სასესხო ვალდებულებების შემცირება	(1,417,659)	(630,070)
ფულადი სახსრების შემოსვლა მოკლევადიანი სესხებიდან	4,754,664	1,406,966
კაპიტალის ზრდა	462,000	-
გადახდილი დივიდენდები	(252,630)	(303,800)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	3,546,375	473,096
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	(158,005)	(167,697)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	139,797	(2,116)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	206,236	376,049
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	188,028	206,236

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 23 სექტემბერს


ქეთევან ნებიერიძე
დირექტორი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.



1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ნატურალი“ („კომპანია“) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნებულია 2013 წლის 30 დეკემბერს, რეგისტრირებულია საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ეროსი მანჯგალაძის ქუჩა, N 86 / ც. დადიანის ქუჩა, N 119, N 121 და მისი მართვისა და საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო მდებარეობს თბილისში. 2022 წლის ივლისის თვეში კომპანიამ გახსნა ახალი ფილიალი და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი იყო 2 საცალო მაღაზიით.

კომპანიის დამფუძნებელი არის: ალექსანდრე ნებიერიძე, (59031007125) - 100%, დირექტორი: ქეთევან ნებიერიძე, (59004002543).

შპს „ნატურალი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდ შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საკმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადებით და მსგავსი ანარიცხებით.

- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

- მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)
ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

- ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები აღიარდება ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენობები

50 წელი

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5 წელი
მანქანა-დანადგარები	8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
შენობა-ნაგებობები	20-50 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლს. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვ ქვეშ აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც

გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება როდესაც იგი დაიფარება ან უქმდება.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. პირობითი ვალდებულებები აისახება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. ის აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

3. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები, და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

3.2 საექვო და უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორებისგან თანხების ამოღება. აღნიშნული რეზერვის შეფასებისას კომპანიის ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ დებიტორს და განიხილავს მის გადახდისთვის მზაობას.

3.3 დაკავშირებული მხარეების გარიგებები

ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავ რებელი მშენებლო ბა	ნაგებობე ბი	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტ ი საშუალებები	ოფისის აღჭურვილობ ა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2020	316,322	219,333	220,056	6,238	60,505	1,676,698	2,499,153
შემოსვლა		16,843				244,939	261,782
გასვლა							-
31 დეკემბერი 2021	316,322	236,176	220,056	6,238	60,505	1,921,637	2,760,935
შემოსვლა		2,401,273		28,300		1,256,404	3,685,977
გასვლა						963	963
31 დეკემბერი 2022	316,322	2,637,449	220,056	34,538	60,505	3,177,079	6,445,949
დაგროვილი ცვეთა	მიწა	დაუმთავ რებელი მშენებლო ბა	ნაგებობე ბი	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტ ი საშუალებები	ოფისის აღჭურვილობ ა და ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2020			44,080	2,791	28,598	177,654	253,124
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში			11,004	955	10,321	42,583	64,862
გაყიდული ქონების ცვეთა							-
31 დეკემბერი 2021	-	-	55,084	3,746	38,919	220,237	317,986
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში			11,003	1,955	10,321	69,391	92,669
გაყიდული ქონების ცვეთა							-
31 დეკემბერი 2022	-	-	66,087	5,701	49,240	289,628	410,655
საბალანსო ღირებულება	მიწა	დაუმთავ რებელი მშენებლო ბა	ნაგებობე ბი	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტ ი საშუალებები	ოფისის აღჭურვილობ ა და ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2021	316,322	236,176	164,972	2,492	21,586	1,701,400	2,442,949
31 დეკემბერი 2022	316,322	2,637,449	153,969	28,837	11,265	2,887,451	6,035,294

5. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	
31 დეკემბერი 2020	10,847
შემოსვლა	
გასვლა	
31 დეკემბერი 2021	10,847
შემოსვლა	2,888
გასვლა	
31 დეკემბერი 2022	13,735
დაგროვილი ამორტიზაცია	
31 დეკემბერი 2020	5,383
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	1,627
31 დეკემბერი 2021	7,010
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	1,627
31 დეკემბერი 2022	8,637
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2021	3,837
31 დეკემბერი 2022	5,098

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	30 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საქონელი	1,189,107	505,965
ნედლეული და მასალები	287,433	212,535
დაუმთავრებელი წარმოება	2,360	0
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1,478,901	718,500

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	30 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	419,869	304,219
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები		
სულ სავაჭრო მოთხოვნები	419,869	304,219
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	1,048,073	873,234
სხვა მოთხოვნები	9,139	2,801
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,477,080	1,180,254

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	30 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული	125,419	61,228
ფული ბანკში	62,609	145,008
სულ	188,028	206,237

9. გრძელვადიანი სესხები

	30 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
TBC - საკრედიტო ხაზი	158,642	-
TBC - სესხი	3,973,687	2,362,323
სულ	4,132,329	2,362,323

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	30 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	621,329	276,641
გადასახდელი ხელფასები	1000	-
გადასახდელი პროცენტები	20320.12	1,528
სხვა ვალდებულებები	4619.92	996
სულ	647,269	279,165

11. საგადასახადო ვალდებულებები/საგადასახადო აქტივი

	30 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საშემოსავლო გადასახადი	123,982	(14,079)
დღგ, მიღებულ ავანსებზე	-	-
სხვა საგადასახადო ვალდებულება/აქტივი, ნეტო	53,555	(33,110)
სულ	177,537	(47,189)

12. ამონაგები

	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	12,513,466	9,245,086
შემოსავალი მარკეტინგული საქმიანობიდან	266,032	162,949
შემოსავალი იჯარიდან	34,650	39,600
სხვა შემოსავალი	30,738	5,736
სულ	12,844,886	9,453,371

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2022	2021
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10,093,608	7,557,949
სხვა	121,302	85,753
სულ	10,214,910	7,643,703

14. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	936,544	556,746
საოფისე ხარჯები	31,382	13,839
საიჯარო ხარჯი	411,992	303,321
დაცვის მომსახურების ხარჯი	2,640	1,087
ცვეთა და ამორტიზაცია	94,296	66,488
ბანკის მომსახურების ხარჯი	105,970	66,794
საგადასახადო ხარჯი	40,550	21,256
კომუნალური მომსახურების ხარჯი	169,832	59,490
სხვა ხარჯი	85,445	35,507
სულ	1,878,651	1,124,528

15. კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება/ (ზარალი)

	2022	2021
დადებითი საკურსო სხვაობა	1,122,773	415,674
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(349,149)	(168,410)
სულ	773,624	247,264

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს-ის 33-ე განყოფილებაში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს :

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის,

მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია

კომპანიამ მფლობელზე 2022 წლის განმავლობაში გასცა დივიდენდი 265,926 ლარის ოდენობით.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა საბაზრო პირობით.

მენეჯმენტის ანაზღაურება

მენეჯმენტის ანაზღაურება - ხელფასი და სხვა მოკლევადიან სარგებლები საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით შეადგენს:

	2022	2021
ხელფასი და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	23,202	13,386

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 სექტემბერს.